ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

დანართი №5

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლბის საზოგადოება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სახე მისი მისიიდან გამომდინარე იქნება:

- ☐ პროფესიული კოლეჯი
- ☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

დაწესებულებას უფლება აქვს განახორციელოს:

- ☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ■ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ☐ სხვა საგანმანათლებლო პროგრამა (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ნატო გაბოშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ია ფირანიშვილი-გიგიბერია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

II. დაწესებულების მისია

სკოლა-კოლეჯის მისიაა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა, მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, მათი აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერება;

სკოლა-კოლეჯი ორიენტირებულია ზოგადი და პროფესიული განვითარების თანამედროვე პრინციპებსა და მოდელებზე, სასწავლო პროცესის ხარისხსა და პედაგოგების პროფესიონალიზმზე, პროფესიული განათლების ზოგად განათლებასთან ინტეგრირებასა და მოსწავლეთათვის შესაბამისი წინაპირობის შექმნაზე, მომავალი არჩევანის გაკეთებაზე, კარიერის დაგეგმვასა და შემდგომ სწრაფ დასაქმებაზე;

სკოლა-კოლეჯი ხელს უწყობს ისეთი სასკოლო და პროფესიული განათლების სისტემის ფორმირებას (შექმნას), რომელიც თითოეულ მოსწავლეს/პროფესიულ სტუდენტს მისცემს გადაწყვეტილების მიღების, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარების უნარს და ჩამოაყალიბებს მას კანონმორჩილ, ტოლერანტულ მოქალაქედ;

დიმიტრი ყიფიანი ბრძანებდა: - „მხოლოდ ის ერი შეიძლება დაადგეს პროგრესის გზას, რომელიც მეტყველებს და აზროვნებს მშობლიურ ენაზე“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

I. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

**შეფასება:**
შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ადმინისტრაციამ წარმოადგინა 5 საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ოფის-მენეჯერი-მესამე საფეხური, ბუღალტერი-მესამე საფეხური, კბილის ტექნიკოსი-მესამე საფეხური, ინტერნეტ ტექნოლოგი(ვებ-სპეციალისტი)-მესამე საფეხური, მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)-მესამე საფეხური. ამჟამად, სკოლა-კოლეჯი სწავლებას ახორციელებს წარმოდგენილთაგან მხოლოდ 4 პროგრამაზე. მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე-მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული), ახლა სტუდენტი არ ირიცხება. აღნიშნული პროგრამები დაფიქსირებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ელექტრონულ ბაზაში https://evet.emis.ge.
სკოლა-კოლეჯის წესდების მიხედვით, პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილია პედაგოგიური საბჭო. წესდების შესაბამისად, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილულია და დამტკიცებულია სასწავლო გეგმა (რომელსაც პირობითად უწოდებენ კატალოგს), ოქმიN1, 05. 09. 2017. შესაბამისად, სკოლა-კოლეჯის დირექტორის მიერ **2017 წლის 5 სექტემბრის №02/03 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო გეგმა.** დაწესებულების მიერ, წარმოდგენილ თითოეულ საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება; პროფესიული განათლების საფეხური; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მოცულობა კრედიტებსა და საათებში; პროგრამის ხანგრძლივობა; პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა-საბაზო განათლების ატესტატი; სფეროს აღწერა; პროფესიული პროგრამის მიზანი; სწავლის შედეგი; სწავლის შედეგების რუქა; სასწავლო გეგმა; პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა); პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, მეცადინეობაზე დასწრება 0-10 ქულა, სემესტრული აქტიურობა (ჯგუფურ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე) -0-30 ქულა, ორი შუალედური გამოცდა 0-30 ქულა, თეორიული ან კომბინირებული, დასკვნითი გამოცდა 0-30 ქულა; სწავლების მეთოდები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის

მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ. თითოეულ პროგრამას თან ერთვის სასწავლო კურსების სილაბუსები.

მაგალითად „კბილის ტექნიკოსის" პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სასწავლო კურსების სწავლება:

- კბილის პროტეზირება 1 ( ისწავლება მე 11 კლასში - როგორც დამატებითი სავალდებულო საგანი-ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში)
- კბილის პროტეზირება 2 ( ისწავლება მე 12 კლასში - როგორც დამატებითი სავალდებულო საგანი-ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში)
- სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა (ისწავლება მე-11 კლასში - როგორც არჩევითი საგანი-ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში)
- კომპიუტერული მეცნიერება მე-12 კლ (ისწავლება მე-12 კლასში - როგორც არჩევითი საგანი-ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში)
- ინგლისური ენა 1 (ისწავლება მე-11 კლასში - როგორც ძირითადი საგანი -ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში)
- ინგლისური ენა 2(ისწავლება მე-12 კლასში - როგორც ძირითადი საგანი-ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში)
- სასწავლო პრაქტიკა პროტეზირება 1 (მე-11 კლასში)
- სასწავლო პრაქტიკა პროტეზირება 2(მე-12 კლასში)
- საწარმოო პრაქტიკა (მე-12 კლასის დასრულებისას)

ჩამოთვლილი საგნებიდან ნაწილი ისწავლება, როგორც ძირითადი საგანი-ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, ნაწილი დამატებითი სავალდებულო საგანი, ნაწილი არჩევითი საგანი.

სილაბუსებში მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, მოცულობა, სწავლის შედეგი, კურსის შინაარსი, პროფესიული სტუდენტის შეფასება, სასწავლო კურსის წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სავალდებულო/დამხმარე ლიტერატურა, ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა.

ვიზიტის განმავლობაში გადამოწმდა, რომ საგნების სწავლება და შეფასება მიმდინარეობს ზოგადი განათლების მესამე საფეხურის სასწავლო დატვირთვასთან ინტეგრირებით, რაც დადასტურებულია პედაგოგიური საბჭოს ოქმებით, კრედიტების აღიარებისა და პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისებით. ინახა კრედიტების აღიარების შესაბამისი ბრძანებები, უწყისები, რომლის თანახმად პროფესიულ სტუდენტს გავლილად ეთვლება სასწავლო კურსი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის

მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

ანალოგიური პრინციპით, ინტეგრირებულად მიმდინარებს სწავლება სხვა პროფესიულ საგნობრივ პროგრამებზე.

ვიზიტის დროს, ასევე შესაძლებელი გახდა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება. საგნის " კბილის პროტეზირება" პედაგოგი საუბრობს იმაზე, რომ სასწავლო კურსის სტატუსია: დამატებითი სავალდებულო საგანი ზოგადი განათლების ფარგლებში, ხოლო პროფესიული პროგრამისთვის არჩევითი საგანი, რომელსაც მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის ეთმობა 200 სთ და შესაბამისად უღიარდება 8 კრედიტი. ასევე, ამავე პროფილის მოსწავლეები ზოგადი განათლების ფარგლებში, არჩევითი საგნის სტატუსით გადიან საგანს „სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა" -125 სთ და შესაბამისად პროფესიული განათლების პროგრამის ფარგლებში აღნიშნული საგნის წარმატებით გავლის შემთხვევაში უღიარდებათ 5 კრედიტი. ვიზიტის დროს მიმდინარე თემატიკა ემთხვეოდა კალენდარულ გეგმას. კერძოდ, მე–12 კლასში კალენდარულ გეგმაში იყო 26–ე გაკვეთილი და თემა: ფაიფურის გვირგვინების დამზადების ეტაპები.

მე–11. მე–12 კლასელებს ყოველ შაბათ დღეს აქვთ სასწავლო პრაქტიკა–6სთ. მასწავლებელთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ეს რაოდენობა საჭიროა სასწავლო პრაქტიკისთვის, რადგან ორთოპედული სტომატოლოგია შრომატევადი საქმეა და ერთგვარი ხელოვნებაა. ამიტომ საჭიროა ტექნიკოსმა გაიწაფოს ხელი მუშაობაში.

ვიზიტის განმავლობაში მოხდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება საგაკვეთილო ცხრილთან, საათობრივ დატვირთვასთან, სწავლების მეთოდებთან -პრაქტიკულ მეცადინეობებთან დაკავშირებით. პროფესიული სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ როგორც სწავლების შინაარსის, ასევე სკოლა-კოლეჯში პოზიტიური სასწავლო გარემოს მიმართ.

საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. ვიზიტის განხორციელების პერიოდში, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვადები იწურებოდა 2018 წლის იანვრის თვეში, კერძოდ

- შპს „ბუღალტერთა მომზადების ცენტრი", მის. თბილისი, წერეთლის გამზ. 61, ვადა-2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის იანვრამდე.
- შპს „სასწავლო ცენტრი პროფესიონალი" ( ინტერნეტ-ტექნოლოგი, ვებსპეციალისტი) მისამართი პეკინის 34, ვადა-3 იანვარი 2017 წ.-დან 2018 წ. 3 იანვრამდე
- კს იურიდიული ბიურო „ნანა წულაძე და პარტნიორები" (ოფისის მენეჯერი, მდივან-რეფერენტი) მის. ზუბალაშვილების ქ. N7, ვადა- 03. 2017-03.2018
- შპს დენტექსი-95 , მის. ქ. ლაღიძის ქ. N8. (კბილის ტექნიკოსი) ვადა-03.2017-03.2018
- სტუ, მის. კოსტავას 69, პროგრამისთვის " მცენარეთა დამამზადებელი" ვადა-03.2017-03.2018



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

მ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის

მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

როგორც სასწავლო გეგმებიდან ჩანს და ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, პრაქტიკას პროფესიული სტუდენტები გადიან ზაფხულში, სასკოლო პროგრამის დამთავრებისას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საატესტატო გამოცდების დასრულების შემდეგ, კერძოდ 28 მაისიდან 28 ივნისის ჩათვლით, 4 კვირის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, მიმდინარე 2017/2018 სასწავლო წელს (მაისის თვისთვის) პრაქტიკის ობიექტთან დადებული არსებული ხელშეკრულების ვადა არასაკმარისი იყო, რის შესახებაც მიეცათ რეკომენდაცია. სკოლა-კოლეჯის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელშეკრულებების ვადა განესაზღვრათ არა კალენდარული წლის არამედ აკადემიური წლის ფარგლებში, რაც აღნიშნულ პრობლემას მოაგვარებდა. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში, მომდევნო დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულებები, 5-ივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემდეგი მონაცემებით:

- შპს„ბუღალტერთა მომზადების ცენტრი“, მის. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.61, ვადა-13.12.2017-05.07.2018
- შპს„სასწავლო ცენტრი პროფესიონალი“ (ინტერნეტ-ტექნოლოგი ვებსპეციალისტი) მის. თბილისი, პეკინის 34, ვადა-13.12. 2017-05.07.2018
- კს იურიდიული ბიურო „ნანა წულაძე და პარტნიორები“ (ოფისის მენეჯერი, მდივან-რეფერენტი) მის. თბილისი, ზუბალაშვილების ქ. N7 ვადა-13.12. 2017-05.07.2018
- შპს დენტექსი-95, მის. თბილისი, ლაღიძის ქ.N8(კბილის ტექნიკოსი) ვადა-13.12.2017-05.07.2018
- სტუ, მის. თბილისი, კოსტავას 69, პროგრამისთვის " მცენარეთა დამამზადებელი“ ვადა-13.12. 2017-05.07.2018

ვიზიტის პროცესში ექსპერტებმა დავათვალიერეთ პრაქტიკის ორი ობიექტი: შპს დენტექსი-95 და შპს „ბუღალტერთა მომზადების ცენტრი“. გავესაუბრეთ საგნობრივი პროგრამების ფარგლებში, პროფესიულ პრაქტიკის განხორციელებაზე ხელშეკრულებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირებს–მენტორს (კბილის ტექნიკოსის პროგრამაზე–რობერტ მელიქიძეს და ბუღალტრის პროგრამაზე–ლია ქევხიშვილს). გავეცანით იმ ვალდებულებებს და მომსახურეობას, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებებში. მათ შორის, პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტზე გაცემულ ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა–დახასიათებას. დავათვალიერეთ არსებული მატერიალური რესურსი, რის შედეგადაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკის ობიექტებზე შესაძლებელია საწარმოო პრაქტიკის განხორციელება.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პარტნიორ ორგანიზაციებს, რომლებთანაც გაფორმებული აქვს სკოლა-კოლეჯს ხელშეკრულებები, გააჩნიათ მრავალწლიანი ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება საგნობრივი პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში და არაერთი სტუდენტი ჰყავთ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის

მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

დასაქმებული, სწავლის დასრულების შემდეგ. ვიზიტის პერიოდში, პრაქტიკის ადგილზე – შპს "დენტექსი–95"–ში, დასაქმებულ პირთა შორის იყვნენ: გელაშვილი დავითი და რურუა საბა, კოლეჯის ყოფილი სტუდენტები.

შპს „ბუღალტერთა მომზადების ცენტრში“ ვიზიტისას დავათვალიერეთ გარემო, სადაც პროფესიული სტუდენტები გადიან პრაქტიკას. სასწავლო აუდიტორიაა დაახლოებით 30 კვ.მ ფართის, აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით-12 კომპიუტერი, პრინტერით, საჭირო ინვენტარით. კომპიუტერში ჩატვირთული იყო საბუღალტრო პროგრამები. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლა-კოლეჯის პედაგოგი ქალბატონი ლია ქევხიშვილი უძღვება საწარმოო პრაქტიკას, რომელიც პარალელურად ამავე ცენტრის პედაგოგია. ადმინისტრატორთან გასაუბრებისას გავარკვიეთ, რომ ქალბატონ ლიას პერიოდულად მიჰყავს სტუდენტები ბუღალტერიაში, პრაქტიკული მეცადინეობებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა | ადგილების რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი |
|---|---|---|---|---|---|---|
| *1* | ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) | III | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 | 10 | ქ. თბილისი ა. პოლიტკოვსკაიას ქ.N10 |
| *2* | ბუღალტერი | III | ბუღალტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 31 | 20 | ქ. თბილისი ა. პოლიტკოვსკაიას ქ.N10 |
| *3* | კბილის ტექნიკოსი | III | კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 | 10 | ქ. თბილისი ა. პოლიტკოვსკაიას ქ.N10 |
| *4* | ინტერნეტ ტექნოლოგი(ვე | III | ინტერნეტ ტექნოლოგის (ვებ-სპეციალისტი) | 60 | 25 | ქ. თბილისი ა. პოლიტკოვსკაიას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბ-სპეციალისტი) | | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | | | ქ.N10 |
| *5* | მცენარეების დამამზადებელი(სამკურნალო, არომატული) | III | მცენარეების დამამზადებ-ელი(სამკურნალო, არომატული) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 35 | 5 | ქ. თბილისი ა. პოლიტკოვსკაიას ქ.N10 |

***სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:*** (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

| № | **პროგრამის დასახელება** | **კრედიტების რაოდენობა** |
|---|---|---|
| | | |

შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის კურსდამთავრებული მე-12 კლასის ბოლოს, საატესტატო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ იღებს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დამთავრების **ატესტატს.** პარალელურად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად იღებს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ **დიპლომს**.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებითა და ეროვნული სასწავლო გეგმით (ზოგადი განათლების ფარგლებში) განსაზღვრული სასწავლო მიზნების მიღწევა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

1.1. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

დასტურდება:

- სკოლა-კოლეჯის წესდებით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმებით:
- სკოლა- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით პროგრამების დამტკიცების შესახებ
- სკოლა-კოლეჯის დირექტორის ბრძანებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შეტანის შესახებ
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, სილაბუსებით
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ელექტრონული ბაზით https://evet.emis.ge
- პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით
- პროფესიულ სტუდენტთა კრედიტების აღიარებისა და შეფასების უწყისებით, ბრძანებებით;
- პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ სტუდენტზე გაცემული, ბეჭდით დამოწმებული, დასკვნა–დახასიათების ფურცელი;
- პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებით და ინტერვიუებით მათ წარმომადგენლებთან;

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

შეფასება:

დაწესებულებაში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროფესიული პროგრამების, პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, დასაქმების სფეროების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგის) ელექტრონული ვერსიაც, რომელიც კოლეჯის ვებგვერდზეა www.dimkipiani.edu.ge განთავსებული.

1.2. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

დასტურდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგით) http://dimkipiani.edu.ge/wp-content/uploads/2017/12/2017-2018
- ვებგვერდით -www.dimkipiani.edu.ge



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

შეფასება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. სასწავლო გეგმაში სწავლის შედეგების რუქა მკაფიოდ აღწერს რა შედეგებზე გადის თითოეული პროგრამა. ასევე სილაბუსებში გაწერილია სწავლის შედეგები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან.

მაგალითად პრაქტიკის შეფასება ხორციელდება საგამოცდო სისტემით 100 ქულიანი შეფასებით, რომლის შემადგენელი კომპონენტებია: პრაქტიკის დღიური: 30 ქ; ორგანიზაციის აღწერა 20 ქ; პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობების ანალიზი 30ქ. დასკვნები რეკომენდაციები-10 ქულა, პრეზენტაცია 10 ქულა.

<u>1.3. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით და სილაბუსებით;
- პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტით;
- ვებ–გვერდით <u>www.dimkipiani.edu.ge</u>

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი". პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ ოქმი N5 04.09.2016, ასევე დირექტორის ბრძანებით N05/09. 08.09.16 დამტკიცებულია მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესები: რომლის მიხედვით პროფესიული პროგრამის გასავლელად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის

მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

სტუდენტის **(და არა პროფესიული სტუდენტის) სტატუსი ენიჭება პირს,** რომელიც წარმატებით გაივლის გასაუბრებას, ტესტირებას და დადგენილ ვადაში სკოლა-კოლეჯში გაიარა ადმინისტრაციული რეგისტრაცია. რეგისტრაციის გავლის უფლება კი აქვს პირს, რომელიც წარმოადგენს:

- საბაზო/საშუალი განათლების ატესტატს,
- პირად განცხადებას,
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს.
- 4 ფოტოსურათს

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა ბრძანებები სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ, მიმღები კომისიის თანხმობის წერილები და პირადი(ან კანონიერი წარმომადგენლის) განცხადებები, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, როლითაც დასტურდება, რომ დაწესებულება მისივე გაწერილი რეგულაციებისა და არსებული კანონმდებლობის დაცვით ახორციელებს სტუდენტის სტატუსის მინიჭებას.

დირექტორის ბრძანებით N05/09 08.09.2016 „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა და ჩარიცხვის წესი" -მუხლი 4 განსაზღვრულია:

- **ჩარიცხვის პირობა-** მიმღები კომისიის წერილობითი თანხმობა, რის საფუძველზეც დაწესესებულების ხელმძღვანელი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს.
- **მონაცემების რეესტრში აღნუსხვა- 7 დღის ვადაში** შეაქვს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში მონაცემები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის ბრძანების №127/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ"- მიხედვით: მუხლი 4, პ2: პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების რეესტრში დაწესებულებების მიერ შეიტანება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ-ჟ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები შესაბამისი აქტის ძალაში შესვლიდან, ხოლო თუ ინფორმაციის არსებობა არ უკავშირდება აქტის გამოცემას – შესაბამისი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

ამასთან დაკავშირებით მიეცა რეკომენდაცია დაწესებულებას, რომ დაიცვას რეესტრში შესატანი ინფორმაციის ვადები.

**სტუდენტის სტატუსის შეჩერების(შეწყვეტის გარეშე) საფუძველია:**

- აკადემიური შევებულება
- სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე
- პირადი განცხადება
- ფინანსური დავალიანება
- ავადმყოფობა
- უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა.

სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

**სკოლა-კოლეჯს განსაზღვრული აქვს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი:**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- პირადი განცხადება
- აკადემიური ჩამორჩენილობა (ვადებში სწავლის შედეგების არ დადასტურება)
- უხეში დ არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა, შეურაცყოფა სტუდენტების ან პერსონალის მიმართ,
- შეფასების მიღების მცდელობა გამოცდაზე მუქარით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით და სხვა დაუშვებელი ხერხებით და მეთოდებით.
- პლაგიატის აღმოჩენა და დამტკიცება;
- კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი
- სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება.

**მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება:** სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში ათვისებული კრედიტებისა და სწავლის შედეგების შედარებით პირის მიერ გავლილი საგნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული პროფესიული პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნას, როგორც არჩევითი სასწავლო დისციპლინები. სკოლა-კოლეჯს გაწერილია აქვს რეგულაციები სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის ფარგლებში მსურველი სტუდენტების კრედიტების აღიარების შესახებ:

რაც გულისხმობს სავალდებულო დისციპლინების კრედიტების აღიარებას, ძირითადი პროფესიული პროგრამის კრედიტებისა და არჩევითი დისციპლინის კრედიტების აღიარებას. ინახა ბრძანებები, რომლითაც დასტურდება კრედიტების აღიარება. სხვა პროფესიულ სასწავლებელში გავლილი სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტების ოდენობასა და აღნიშნულ კოლეჯში სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტების ოდენობას შორის განსხვავების შემთხვევაში ადმინისტრაცია იღებს გადაწყვეტილებას აღიარების შესახებ. თუმცა დღემდე მობილობით ჩარიცხული სტუდენტის პრეცედენტი სკოლა-კოლეჯში არ ყოფილა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია. გადამოწმდა უწყისები, დიპლომის რეგისტარაციის ჟურნალი. პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება კანონმდებლობის დაცვით.

*რეკომენდაცია: დოკუმენტაციაში ყველგან უნდა მიეთითოს პროფესიული სტუდენტი.*

<u>1.4. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

**დასტურდება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

- დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებით N05/08 (08.09.2016) – „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებით. ბრძანება N05/09 08.09.2016
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა და ჩარიცხვის წესით ბრძანება N05/09 08.09.2016
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებით;
- დიპლომების რეგისტრაციის ჟურნალით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმით N5 04.09.2016;

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

- სტუდენტების მობილობის უფლებით სარგებლობა;
- ამ მიმართულებით მოქმედ სხვა პროფესიულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელება;
- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შეთანხმება;

პროგრამის არ ამოქმედების შემთხვევაში – სხვა თავსებად პროფესიულ პროგრამებზე სწავლის გაგრძელება ან სწავლების ინდივიდუალური გრაფიკი.

ასევე დაწესებულება არის კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი, სკოლა-კოლეჯმა წარმოადგინა ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საწევროს გადახდის ქვითრები. სკოლა-კოლეჯის დირექტორთან გასაუბრების შედეგად გაირკვა , რომ ადმინისტრაცია ფიქრობს შესაბამისად დარეგულირებულია პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები ასოციაციის წევრობის ფარგლებშიც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის

მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

სკოლა კოლეჯის დირექტორის მიერ **08.09.2016 წ** გამოცემული **ბრძანების N5/09** „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებით“ - მე-6 თავში იკითხება : 6.2.5. „სკოლა-კოლეჯი უფლებამოსილია გააფორმოს შეთანხმება (მემორანდუმი) პროგრამების ურთიერთაღიარების შესახებ. ამ შემთხვევაში მემორანდუმის მონაწილე დაწესებულებებს შორის სტუდენტების მობილობის შედეგად მათი ჩარიცხვა ხდება პროგრამის აღიარების გამარტივებული მემორანდუმით გათვალისწინებული წესით“. ასეთი მემორანდუმი ამჟამად არ არსებობს, თუმცა დირექტორმა საუბარში განაცხადა, რომ აპირებს მემორანდუმის გაფორმებას საქართველოს კერძო კოლეჯებთან თანამშრომლობის მიზნით.

<u>1.5. ქვესტანდარტი არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- „პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებით“ **ბრძანება N5/09 08.09.2016 წ;**
- ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტით, საწევროს გადახდის ქვითრებით.

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

შეფასება:

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად (ანონიმური გამოკითხვები, თვითშეფასება, და ა.შ.). დაწესებულებაში არსებობს არსებული კითხვარების შევსებული ფორმები სტუდენტების მიერ, მათი გაანალიზების დოკუმენტი და ანგარიში. ნათლად და თვალსაჩინოდ ჩანს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, მაგრამ რამდენად ეფექტიანად იყენებს მოპოვებულ ინფორმაციას სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად ნაკლებად ჩანს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

*რეკომენდაცია: დაწესებულებამ ეფექტიანად მოახდინოს პროფესიული პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების გამოყენება ეტაპობრივად სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად,*

<u>1.6. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- ხარისხის მართვის და ინოვაციის სამსახურის დებულებით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმით #5 04.09.15, ბრძანება #05/08 10.09.15

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შეფასება:

დაწესებულების იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N10.რომელიც განთავსებულია აღნიშნული მისამართის შვიდსართულიანი შენობის მეორე სართულზე, რაზეც გაფორმებული აქვს საიჯარო ხელშეკრულება კერძო პირთან 660 კვ.მ-ფართზე. ხელშეკრულება გაფორმებულია და ვადა გაგრძელებილია 2022 წლამდე.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაის ქ. 10 | 785 |
| | | |

აღსანიშნავია რომ ხელშეკრულებაში მითითებული ფართი და საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული ფართი არ ემთხვევა ერთმანეთს. რეალურად სკოლა-კოლეჯს დაკავებული აქვს 785 კვ.მ ფართი, შესაბამისად 2016 წლის სექტემბერში მიღებული ავტორიზაციის სტატუსის განახლების პერიოდისთვის დაწესებულებას უფიქსირდება ფართი 785 კვ.მ. ასევე ფართით მფლობელობითვის ქირის გადახდის დოკუმენტებში ფიგურირებს ბოლოს მითითებული ფართი.

შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯს 2022 წლის 02 მაისამდე გაფორმებულ აქვს საიჯარო ხელშეკრულება 785 კვ.მ.-ზე შპს TEN-05 (02.05.2011წ.), შეთანხმება TEN-05-ში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ ცვლილებების შეტანის თაობაზე (02.03 2016 წელი). ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016127152-02.03.16

2.1. ა) <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან , რეგისტრაციის ნომერი N 882016127152-02.03.16.
- საიჯარო ხელშეკრულებით(02.05.2011წ) და ხელშეკრულების დანართით (02.03 2016 წელი).
- აზომვითი ნახაზით
- ვიზუალური დათვალიერებით

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

შეფასება:

სკოლა-კოლეჯი ახორციელებს სწავლებას ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, პარალელურად საშუალო საფეხურის მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები გადიან პროფესიულ პროგრამებს, მცირედი გამონაკლისის გარდა. სწავლების მესამე საფეხურზე ხორციელდება პროფილური სწავლება 4 მიმართულებით: ტექნიკური (ინტერნეტ ტექნოლოგი(ვებ-სპეციალისტი), საბუნებისმეტყველო (კბილის ტექნიკოსი, მცენარეთა დაცვა), ჰუმანიტარული (ოფისის მენეჯერი), ეკონომიკური (ბუღალტერი), რომელთა განკარგულებაშია სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, ასევე დაწესებულებაში არის ადმინისტრაციისათვის და სასწავლო პროცესის მართვისათვის განკუთვნილი ოთახები. პროფესიული საგნობრივი პროგრამებით სწავლებისთვის განკუთვნილი გარემო ადაპტირებულია სასწავლო გარემოსთან. დაწესებულებას აქვს კომპიუტერული კლასი, საგნობრივი სწავლებისათვის განკუთვნილია 14 აუდიტორია, ჯამში 115 პროფესიულ სტუდენტზე.

2.1. ბ) <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საინვენტარიზაციო ჩამონათვალით;

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

შეფასება:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სკოლა-კოლეჯის მფლობელობაში მუდმივი დენის გენერატორი. სველი წერტილები- განათავსებულია შენობაში, ცალ-ცალკე გოგონებითვის 2 წერტილი და ვაჟებისთვის 3 წერტილი, დაწესებულებაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, ასევე გათბობის დამატებით საშუალებებს წარმოადგენს ელექტროღუმელები, რომლებიც კედელზეა დამონტაჟებული , უსაფრთხოების მიზნით. ყველა აუდიტორიას აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.

2.2. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ელექტრო ენერგიის, წყლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

შეფასება:

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით N05.02 07.05.2017 დამტკიცებულია დოკუმენტი „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი". სკოლაა კოლეჯის ბიბლიოთეკის ბეჭდურ მატარებლებზე არსებული ფონდი შეადგენს 1830 ერთეულს სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, ზოგიერთი ნაბეჭდი სახით, ზოგიერთი კი ელექტრონული სახით.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკაში არის გამოყოფილი სამკითხველო სივრცე 8 მაგიდით და 12 სკამით. ვიზიტის პერიუდში ბიბლიოთეკაში არ იყო განთავსებული კომპიუტერი და პრინტერი. როგორც ადმინისტრაციის წარმომდგენელთან გასაუბრების შედეგად გაირკვა , აღნიშნული ტექნიკა დროებით გატანილი იყო სკოლა-კოლეჯის სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელთან მიმდინარე წლიური ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით აღრიცხვის მოსამზადებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

*ექსპერტების რეკომენდაცია: სასურველია ბიბლიოთეკაში განთავსებული იყოს კომპიუტერი, პრინტერი, ასევე ყველა სახელმძღვანელო , თუნდაც ჩამოტვირთული და დისკზე განთავსებული.*

2.3. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

დასტურდება:

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- წიგნადი ფონდის შეძენის სასაქონლო ზედნადებებით;
- რედაქციებთან დადებული ხელშეკრულებებით;
- ბიბლიოთეკის წიგნების საინვენტარიზაციო კატალოგით
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ფოტო-მასალით.

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

შეფასება:

დაწესებულებას სასწავლო პროცესისათვის აქვს განკუთვნილი 23 პერსონალური კომპიუტერი, აქედან 3 ადმინისტრაციის განკარგულებაშია, 20 განკუთვნილია სტუდენტებისთვის. 2 პროექტორი, 4 პრინტერი, ფოტოაპარატი. ბუღალტერის პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის კომპიუტერებზე დაინსტალირებულია სასწავლო პროგრამა: „ორისის" დემო ვერსია.

კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტის ქსელში. დაწესებულებას მიეწოდება ინტერნეტი შპს „კავკასუს ონლაინ" პროვაიდერის მიერ, რის შესახებაც დადებულია ხელშეკრულება.

**2.4. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ელ. ფოსტა - dimkipiani@yahoo.com
- ინტერნეტ პროვაიდერთან დადებული ხელშეკრულება;
- კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკის შესყიდვის ანგარიშფაქტურები;
- ხელშეკრულებით ინტერნეტ-მომსახურების შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

დაწესებულებაში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი, დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N 11, 20.04.2017 სადაც გაწერილია დოკუმენტების დამუშავების, აღრიცხვისა და შენახვის წესები. წესის შესაბამისად დოკუმენტები აღწერილია სათანადო ჟურნალში. დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. არის შემოსული და გასული დოკუმენტაციის, ბრძანებების, ხელშეკრულებების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ჟურნალები, დოპლომების გაცემის ჟურნალი, რომლებიც გადანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია ბეჭდით.

**2.5. <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

დასტურდება:

- საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით;

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

ა) ხანძარსაწინააღმდეგებო უსაფრთხოების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დირექტორის ბრძანებით N09, 10.01.2015 (განახლებული N5, 07.05.2014) სათანადო ადგილას გამოკრულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლა-კოლეჯში განთავსებულია ორი ხანძარსაწინააღმდეგო ყუთი. ყუთები აღჭურვილია წყლის ჭავლისათვის საჭირო ონკანით , შესაბამისი სახანძრო მილით. ცეცხლმაქრების დამონტაჟებულია ევაკუაციის გეგმაში მითითებულ ლოკაციის ადგილზე. სულ 3 ცეცხლმაქრია სკოლა-კოლეჯისთვის განკუთვნილ ფართზე - რომელთა გადამუხტვის ვადები დარღვეულია, ვიზიტის პერიოდში მითითებული იყო მოქმედების ვადა 2016 წლის აპრილიდან დან-2017 წლის აპრილამდე. იქიდან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის

მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

გამომდინარე რომ დაწესებულებას აქვს ხანძრსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ალტერნატიული წყარო-წყლის ჭავლის ონკანები, ამდენად ეს ქვესტანდარტი დარღვეულად არ მიიჩნია და მიეცათ რეკომენდაცია ცეცხლამქრი ბალონების მოქმედების ვადის დაცვის შესეხებ.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც შესრულებულია საქართველ;ოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქ.თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ;

გ) დაწესებულებაში არის სამედიცინო ოთახი აღჭურვილი აუცილებელი მედიკანტებით. ექთანთან გაფორმებულია ხელშეკრულება;სკოლა-კოლეჯს შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ექთნის თანამდებობრივი ინსტრუქცია. პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის სკოლა-კოლეჯს აქვს საჭირო რაოდენობის მედიკამენტები და სხვა სამედიცინო მასალები. გამოყოფილია ექთნის საშტატო ერთეული. სკოლა-კოლეჯში ტარდება სადეზინფექციო პროფილაქტიკური ღონისძიებები, რის შესახებაც დადებულია ხელშეკრულება შპს-თან „სადიზენფექციო პროფილაქტიკური მომსახურება", დირექტორის ჟ. წიკლაურის სახელით.

დ) სკოლა-კოლეჯში უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით შემუშავებულია დაცვის სამსახურის დებულება. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით წესრიგზე ზრუნავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დისციპლინის ოფიცერი და კლასის დამრიგებლები(პროფესიული სტუდენტების პარალელურად საშუალო საფეხურის მოსწავლეებიც არიან). აუდიტორიებში და სკოლა-კოლეჯის მთელს პერიმეტრზე დამონტაჟებულია 20 ვიდეოკამერა, აქედან 2 ვიდეოკამერა (გარე და შიდა პერიმეტრზე) შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

მონტაჟი განხორციელებულია შპს „აი-ეს-ეი"-ის მიერ. ასევე შენობის დაცვას უზრუნველყოფს გამქირავებელი შენობის პირველ სართულზე დადგმულია დეტექტორი, კონტრლოლდება უცხო პირთა შესვლა შენობაში, ასევე სართულზე კონტროლდება პირთა შესვლა, ხოლო წესრიგს დაწესებულებაში უზრუნველყოფენ მასწავლებლები მორიგეობის ცხრილის მიხედვით.

*ექსპერტების რეკომენდაცია: ცეცხლმაქრების პერიოდული გადამუხტვა , ვადის გასვლისთანავე.*

<u>2.6 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

- უსაფრთხოების წესებით;
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- შპს თან „სადიზენფექციო პროფილაქტიკური მომსახურება“ გაფორმებული ხელშეკრულებით;
- შპს-თან „აი-ეს-ეი“ დადებული ხელშეკრულებით ვიდეომეთვალყურეობის კამერების დამონტაჟების შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერებით;

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის
შეფასება:

დაწესებულებაში ასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსები, ხოლო შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ლიფტი. რომლის საშუალებით სპეციალური საჭიროების მქონე პირისთვის შესაძლებელია გადაადგილება შენობის მეორე სართულზე სკოლა-კოლეჯის ტერიტორიაზე. სსსმ პირისთვის განკუთვნილი ერთი სველი წერტილი დაწესებულების პირველ სართულზე, რომლით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლა-კოლეჯმა წარმოადგინა. სსსმ პირს უწევს მეორე სართულიდან ლიფტის საშუალებით პირველ სართულზე გადაადგილება, სველ წერტილამდე. სსსმ პირისთვის გათვლილ სველ წერტილში ეტლით მოსარგებლე შეძლებს გადაადგილებას, არის საკმარისი სივრცე ამისთვის.

ექსპერტების რეკომენდაცია: სსსმ პირთათვისადაპტირებული სველი წერტილების მეორე სართულზე განთავსების.

<u>2.7. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სსსმ პირისთვის ადაპტირებული სველი წერტილით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

შეფასება:

დაწესებულების ვებ-გვერდია: www.dimkipiani.edu.ge ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა, მისია, წესდება, შინაგანაწესი, კატალოგი, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემა. ვებ-გვერდის მთავარ ბანერზე მითითებულ „კონტაქტში"-მოცემულია დაწესებულების მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და ასევე სპეციალურად გამოყოფილი ველის საშალებით შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაცია. ვებ-გვერდზე ბოლო ინფორმაციის განთავსება თარიდება 2017 წლის სექტემბერ-ოქტომბერით.

2.8. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

დასტურდება:

- ვებ-გვერდით www.dimkipiani.edu.ge
- ელექტრონული ფოსტის მისამართით: dimkipianischool@yahoo.com

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული განვითარების სამოქმედო ექვსწლიანი გეგმა 2017-2023 და ერთწლიანი 2017-2018 განვითარების სამოქმედო გეგმა, ორივე განხილულია და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ პედაგოგიური საბჭოს ოქმი N9, 26.06 2017. დირექტორის ბრძანებით N 58, 27.04.2017. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან: . „მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, მათი აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება"- სკოლა კოლეჯის სტარტეგიულ გეგმაში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებზე, რომელიც ხელს შეუწყობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას. დაწესებულებამ წარმოადგინა სვოტ ანალიზი, რომლის საფუძველზეც ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული გეგმა. ასევე ყოველწლიურად, სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე წარადგენენ წლიურ ანგარიშს, სადაც მოცემულია მონაცემეთა ანალიზი, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი. ექვსწლიანი გეგმაში გათვალისწინებულია მოდულურ პროფესიულ პროგრამებზე ეტაპობრივი გადასვლა 2019 წლიდან. ასევე მოცემულია პრიორიტეტული მიმართულებები და დაკონკრეტებულია აქტივობები, მოცემული დაწყების და დამთავრების თარიღები, პასუხისმგებელი პირები, ჩანს აქტივობების ეფექტური კონტროლის მექანიზმები.

2.9. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

**დასტურდება:**

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების განვითარების ერთწლიანი 2017 წლის სამოქმედო გეგმა (ბრძანება №05/23. 26.06.2017 წ.)
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N9, 26.06 2017
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი)2017-2023 წ სამოქმედო გეგმა (ბრძანება №05/23. 26.06.2017 წ.)
- ინტერვიუირებით.

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

შეფასება:

შპს „წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის“მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 6 ადმინისტრაციის თანამშრომელი 14 მასწავლებელი. ადმინისტრაციის თანამშრომლები: დირექტორი, მოადგილე, ხარისხის სამსახურის უფროსი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, საქმის მწარმოებელი, ბუღალტერი. ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათი პირადი საქმეები და დაწესებულების მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. პედაგოგთა მონაცემები ასახულია ელექტრონულ ბაზაში.

3.1 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

**დასტურდება:**

- შპს „წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის" დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის №01-02/110 ბრძანება „თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციების" შესახებ;
- პირადი საქმეებით;
- საშტატო განრიგით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ელექტრონული ბაზით : https://evet.emis.ge
- შრომითი ხელშეკრულებებით.

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

შეფასება:

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი თითოეული პროგრამის განმახორციელებელის კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ პოზიციას. სკოლა-კოლეჯს ჰყავს ხელშეკრულებით აყვანილი სულ 32 მასწავლებელი, აქედან საგნობრივი პროფესიული პროგრამისთვის გამოყოფილია 14 პროფესიული მასწავლებელი.
თუმცა , უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ერთი ხელშეკრულებით განსაზღვრულია პერსონალის ორი მოვალეობა, ერთი პროფესიული მასწავლებლის და მეორე ადმინისტრაციული მიმართულებით ისე, რომ არ არის გამიჯნული ამ ორი თანამდებობის ფუნქცია–მოვალეობა. მაგალითად: თავბერიძე ქეთევანს აქვს დადებული კოლეჯთან ერთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ის ასრულებს ორ მოვალეობას: მასწავლებლის და კოლეჯის საინფორმაციო მენეჯერის. ხელშეკრულება ზოგადი ხასიათის არის და მასში არ არის გამიჯნული ამ ორი თანამდებობის ფუნქცია–მოვალეობა.

*კოლეჯს ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია ზემოაღნიშნული ხასიათის ხარვეზის გამოსწორების შესახებ.*

3.2 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის

მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

დასტურდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების პირადი საქმეებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- მასწავლებლებთან გასაუბრებით.

**3.3** დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:

ამჟამად კოლეჯი ანხორციელებს 4 პროფესიულ საგნობრივ პროგრამას. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში https://evet.emis.ge სკოლა-კოლეჯის მონაცემები: სადაც ფიქსირდება მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 14, სკოლა- კოლეჯის სხვა პერსონალი 11. სტუდენტთა რაოდენობა - 67 . ასევე გადამოწმდა სკოლა კოლეჯის შიდა რეესტრი, გრძანებები ჩარიცხვაზე და პროფესიულ სტუდენტთა მოძრაობის შესახებ, რომლის მონაცემებით სკოლა - კოლეჯში ამჯამად ფიქსირდება 69 პროფესიული სტუდენტი. როგორც ადმინისტრაციის წევრთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ერთმა სტუდენტმა ქეთევან გაგნიძემ პ/ნ 01008057476- რომელიც სწავლობდა პროფესიულ პროგრამაზე „მცენარეთა დამამზადებელი" -პირადი სურვილით(განცხადებით) მიატოვა სწავლა, თუმცა ეს სტუდენტი მაინც ფიქსირდება ბაზაში. ანუ 3 სტუდენტი არ არის დაფიქსირებული პროფესიულ სტუდენტთა ბაზაში.

სკოლა-კოლეჯისთვის მინიჭებული ავტორიზაციის სტატუსის დამადასტურებელი გადაწყვეტილების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 70 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა შეადგენს დაახლოებით 5:1; სკოლა კოლეჯში კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია შემდეგში მდგომარეობას- ზოგადი განათლების მესამე საფეხურის მეათე კლასის დასრულების შემდეგ ყოველ მოსწავლეს სთავაზობს პროფესიულ პროგრამას - ამჟამად 4 პროფილით. ამ საფეხურის თითქმის 99% პროფესიულ პროგრამას ირჩევს საკუთარი სურვილით.

**რეკომენდაცია:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში სიზუსტის დაცვით იქნას შეტანილი პროფესიულ სტუდენტთა მონაცემები.

**3.3 . ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

**დასტურდება**

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ელექტრონული ბაზით : https://evet.emis.ge
- გრძანებებით პროფესიულ სტუდენტთა მოძრაობის შესახებ;
- პედაგოგთა დანიშვნა/გათავისუფლების გრძანებებით, პირადი საქმეებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

**3.4** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

შეფასება:

შპს „წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯში" პროფესიული განათლების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმების მსურველთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა და სამსახურში აყვანის გაფორმება განსაზღვრულია შპს „წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის" პედაგოგიური საბჭოს 2017 წლის 30 მარტის N3 კ სხდომის ოქმით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-2 თავში.

თუმცა, შრომის კოდექსის მუხლი 6 პუნქტი მე–8 მიხედვით, გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს.

*რეკომენდაცია: ხელშეკრულებებში მიეთითოს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.*

<u>3.4 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

**დასტურდება:**

- შპს „წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის" პედაგოგთა დანიშვნის ბრძანებები;
- შპს „წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის" პედაგოგებთან და სხვა პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- შპს „წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის" პედაგოგიური საბჭოს მიერ 2017 წლის 05 სექტემბრის N1 სხდომის ოქმით დამტკიცებული შპს „წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის" შინაგანაწესი;

შპს „წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯში" პროფესიული სტანდარტების შესრულების შემოწმებისას გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე **დადგინდა შესაბამისობა** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

IV. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი
(შევსების ადგილი)

16.01.2018
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

მ.ა.